ირმა მალაციძე

ვარსკვლავ-სანთლები

კლასი V
კითხვის დონე – 5.2
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

წიგნი მომზადდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

SAKPATENTI NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

ერთ პატარა ქალაქში ვიწრო, ქვით მოკირწყლული ქუჩები იყო. ისეთი ვიწრო, რომ ქვაფენილამდე დღის სინათლე ძნელად აღწევდა. ღამით ხომ ნუღარ იტყვი! ქუჩებში უკუნი სიბნელე ჩამოწვებოდა ხოლმე. თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ქალაქში ერთი უცნაური კაცი არ გამოჩნდა. მას ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა და ხელში დიდი სათლი ეჭირა. კაცმა უყურა, უყურა ბნელ ქალაქს, მერე ფარნები დაამზადა და ყველა ქუჩის კუთხეში დაამაგრა. ამის შემდეგ ყოველ საღამოს დადიოდა და ფარნებს ანთებდა. განათდა ქალაქი. მალე ამ კაცს ყველა ცნობდა, თუმცა მისი სახელი არავინ იცოდა, ამიტომ მეფარნეს ეძახდნენ. მეფარნე სანთლებსაც ამზადებდა და ყველას ამარაგებდა.

ამ ქალაქში ცხოვრობდა პატარა გოგონა, სახელად მარიანა. მარიანა მეგობრებთან ერთად ხშირად დადიოდა ქალაქის განაპირას ვერხვის ჭალაში სათამაშოდ. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გოგო იყო, თუმცა სხვებისგან მაინც განსხვავდებოდა. ძალიან უყვარდა ღამით ცაში ყურება. საათობით იდგა და ვარსკვლავებს აკვირდებოდა.

– რატომ უყურებ ამდენ ხანს ვარსკვლავებს? – ჰკითხა ერთხელ მეგობარმა.

– მომწონს, როგორ ანათებენ, – უპასუხა მარიანამ და მეოცნებე თვალებით ახედა ცას.

– ასე ფარნებიც კი ანათებენ, – აკისკისდა მეგობარი.

– ფარნებიც მომწონს, მაგრამ ვარსკვლავები მაინც სულ სხვაა. კარგი იქნებოდა, სახლშიც მქონოდა... – სევდიანად ჩაილაპარაკა მარიანამ.

უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში და ფეხზე წამოხტა.

– ვიცი, რაც უნდა ვქნა! საკუთარ ვარსკვლავებს გავაკეთებ და მათ ჩემს სახელს დავარქმევ! – შესძახა და ისე სწრაფად გაიქცა, მეგობარმა ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო.

როგორ ფიქრობ, სად წავიდა მარიანა? სახლში? არა, მეფარნესთან. იქნებ დამეხმაროსო, – ფიქრობდა. ყველა ქუჩა მოირბინა, მაგრამ უცნაური კაცი არსად ჩანდა.

– ჯერ ადრეა, საღამომდე უნდა მოვიცადო, – გაიფიქრა მარიანამ და იქვე, ქუჩის კუთხეში, ქვის კიბეზე ჩამოჯდა. მალე მოსაღამოვდა და პირველი ფარანიც აინთო. მარიანა ფეხზე წამოხტა და მეფარნესთან მიირბინა.

– გამარჯობა, მე მარიანა ვარ, – მიესალმა თავაზიანად.

– გაგიმარჯოს, მარიანა! ძალიან სასიამოვნოა. რაო, რაზე შეწუხებულხარ? – უპასუხა მეფარნემ.

– რჩევა მინდა გკითხოთ, – დაიწყო მორიდებით მარიანამ.

– ყურადღებით გისმენ, – გაამხნევა გოგონა მეფარნემ.

– ძალიან მიყვარს ვარსკვლავები. მომწონს, როგორ ანათებენ. თქვენი ფარნებიც მომწონს. ისიც ვიცი, რომ სანთლების დამზადება იცით.

– კი, ასეა. ქალაქში ყველას მე ვამარაგებ სანთლებით.

– მეც მინდა, შევქმნა ჩემი სანთელი, რომელსაც ვარსკვლავის ფორმა ექნება. როცა მომინდება, მაშინ ავანთებ. სულ იციალებს ჩემს სახლში ვარსკვლავი, – თვალები აუციმციმდა მარიანას.

– შესანიშნავი აზრია. მე დაგეხმარები! – უთხრა მეფარნემ და გოგონას გაუღიმა.

მეფარნემ დანაპირები შეასრულა. კარგად აუხსნა მარიანას, როგორ უნდა დაემზადებინა სანთელი.

– ვარსკვლავის ფორმის ყალიბი დაგჭირდება. შეგიძლია მეთუნუქესთან მიხვიდე და ის დაგიმზადებს, – მიასწავლა გოგონას.

მარიანამ მეფარნეს მადლობა გადაუხადა და მეთუნუქესთან გასწია. მეთუნუქემ მართლაც დაუმზადა ვარსკვლავის ფორმის ყალიბი. შემდეგ გოგონა მეწვრილმანესთან წავიდა, ცვილი, ძაფი და საღებავები იყიდა. მერე ოთახში შეიკეტა და მთელი დღე ფუსფუსებდა.

საღამოს მშობლები შევიდნენ მასთან და რას ხედავენ?! მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე, კარადაზე, თაროებზე, ყველგან უამრავი ფერადი, ულამაზესი სანთელი იდო. ყველა სანთელს ვარსკვლავის ფორმა ჰქონდა, ხოლო შუაში ეწერა „**ə**“.

ძალიან მოეწონათ მშობლებს მარიანას ნახელავი. მალე სანთლების ამბავი მთელ ქალაქს მოედო. ვინ აღარ მოდიოდა მათ სანახავად! მარიანა კი ამზადებდა და ამზადებდა მოციმციმე „ვარსკვლავებს“. გოგონას, რა თქმა უნდა, მეგობრები არ დავიწყებია და ყველას აჩუქა თავისი ვარსკვლავ-სანთლები. მეგობრებმა ურჩიეს, სანთლები გაეყიდა და იმ ფულით ცვილი და საღებავები შეეძინა. მარიანას ჭკუაში დაუჯდა მათი რჩევა. მალე ქალაქის ყველა მაღაზიაში მარიანას ვარსკვლავ-სანთლები იყიდებოდა.

მეფარნეს ერთი შეგირდი ჰყავდა, სახელად მორისი. ბიჭი სულ ოსტატს დაჰყვებოდა, ფარნების ანთებასა და სანთლების დამზადებაში ეხმარებოდა. ერთხელ მორისმა მაღაზიაში მარიანას სანთლები ნახა და ძალიან მოეწონა. ერთი ცალი იყიდა და სახლში მიიტანა. ფორმაც მოეწონა, იდეაც, „**ბ**“ ნიშანმაც მოხიბლა.

– მშვენიერია. ასეთი სანთლის დამზადება ხომ მეც შემიძლია, – გაიფიქრა ბიჭმა.

სანთლის დამზადება უკვე იცოდა. ყალიბისთვის კი ისიც მეთუნუქესთან წავიდა. მეთუნუქეს გაუკვირდა, – ამ ბოლო დროს ვარსკვლავის ფორმის ყალიბს მეორედ მიკვეთავენო. მხრები აიჩეჩა, მაგრამ მაინც დაუმზადა.

მორისმა ყალიბი სახლში წაიღო და ისეთივე სანთლები დაამზადა, როგორიც მარიანამ. ნიშანი „**ə**“-იც არ დავიწყებია.

– კარგია, ვფიქრობ, ეს სანთლები კარგად გაიყიდება, – ჩაილაპარაკა კმაყოფილმა.

ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. მორისმა კარი გააღო. ზღურბლთან მეფარნე იდგა. შეგირდს გაუარა, რომ ფარნების ასანთებად წაეყვანა.

მორისმა ოსტატი შინ შეიპატიჟა. ის-ის იყო, ვარსკვლავების დამზადება დაასრულა და სანთლები ჯერ კიდევ მაგიდაზე ეწყო. მეფარნემ მაგიდას რომ შეხედა, გაეღიმა:

– ეს რამდენი სანთელი შეგიძენია. მოგეწონა, არა, მარიანას ნახელავი! – უთხრა მან შეგირდს.

– მარიანას ნახელავი? არა, ეს მე გავაკეთე. მხოლოდ ერთი სანთელი ვიყიდე ნიმუშად. დანარჩენი თვითონ დავამზადე. ხომ ლამაზია?

– კი, ლამაზია, მაგრამ ამდენი რად გინდა?

– გავყიდი.

– გაყიდი? – გაოცდა მეფარნე. – როგორ თუ გაყიდი! ეს იდეა ხომ სხვას ეკუთვნის.

– მერე რა? – მხრები აიჩეჩა შეგირდმა.

– რა და ის, რომ შენ სხვისი შექმნილი სიმბოლო გამოიყენე უნებართვოდ. არ მგონია, რომ ეს სწორი საქციელი იყოს.

მორისი გაკვირვებული უსმენდა მეფარნეს. აქამდე ასეთი რამ არც კი სმენოდა.

ოსტატი მაშინვე მარიანას სახლისკენ გაეშურა. მას მორისიც უკან აედევნა. გოგონამ კარი გაუღო და სტუმრები შინ შეიპატიჟა.

– მარიანა, რა ყოჩაღი გოგო ხარ. მართლა ვარსკვლავებივით ციალებენ შენი სანთლები, – უთხრა მეფარნემ გოგონას.

– თქვენ რომ არა, არაფერი გამომივიდოდა, – ღიმილით უპასუხა მარიანამ.

– კიდევ ერთ რჩევას მოგცემ. ახლა შენი იდეა უნდა დაიცვა.

– უნდა დავიცვა? ვისგან უნდა დავიცვა? ეგ რას ნიშნავს?

– შეიძლება ვინმემ შენი იდეა მოიპაროს და თვითონაც დაამზადოს ასეთი ვარსკვლავ-სანთლები. არსებობს სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც შენს უფლებებს დაიცავს. მაშინ ვეღარავინ გაბედავს ასეთ საქციელს.

მორისი ჩუმად იდგა. ათვალიერებდა მარიანას სანთლებს და რატომღაც ძალიან რცხვენოდა.

გოგონას ჭკუაში დაუჯდა მეფარნის რჩევა. მათთან ერთად მაშინვე გაემართა იმ უცნაურ ორგანიზაციაში. იქ მარიანას აუხსნეს, რომ სანთლებზე გამოსახული „ᲐᲐ“ არის მისი პროდუქციის სასაქონლო ნიშანი და აუცილებლად უნდა დაარეგისტრიროს. ამის შემდეგ ვეღარავინ გაბედავს მის უნებართვოდ ამ სიმბოლოს გამოყენებას. თუ სხვასაც მოუნდება საკუთარ ნაწარმს დააწეროს ეს ნიშანი, ჯერ სპეციალური უფლება უნდა შეიძინოს. თუ ვინმე მას მაინც გამოიყენებს უნებართვოდ, ჯარიმის გადახდა მოუწევს.

მარიანამ მაშინვე დაარეგისტრირა ვარსკვლავ-სანთლებზე გამოსახული ნიშანი „ᲐᲐ“.

– გილოცავ, მარიანა. ახლა შენი პროდუქცია დაცულია, – უთხრა მეფარნემ გოგონას.

მორისს ისე უნდოდა ვარსკვლავ-სანთლების დამზადება, რომ იდეის გამოყენების უფლება შეიძინა. მარიანას სანთლები კიდევ უფრო პოპულარული გახდა მთელ ქალაქში. სახლს ვერ ნახავდით, რამდენიმე მაინც რომ არ ჰქონოდათ. შობა ღამეს კი მხოლოდ ვარსკვლავ-სანთლებს ანთებდნენ. ისინიც ნამდვილი ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ და ანათებდნენ საშობაოდ მორთულ ოთახებს.